საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის აპოლონ ძუთათელაძის სახელობის
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა

კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

დამტკიცებულია თსსა რესტავრაციის, ხელოვნების სიტორიისა და თეორიის ფაკულტეტის საბჭოს მიერ 2021 წლის 29.11.2021, სხდომის ოქმი №19

სადოქტორო პროგრამის ზოგადი დახასიათება:

კონსერვაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სადოქტორო პროგრამა მოწოდებულია მოამზადოს ამ სფეროს მეცნიერ-მკვლევარი და პრაქტიკოსი სპეციალისტი. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და კონსერვაცია თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრირებულ ერთიანობას წარმოადგენს, რაც სავსებით შეესაბამება ე.წ. "პავიის დოკუმენტში" მოცემულ განსაზღვრებებს.

კონსერვაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, როგორც პოლიტიკური, ასევე, ფილოსოფიური მხარე განისაზღვრა 1996 წელს, იუნესკოს კომიტეტის მოხსენებაში კულტურასა და მის განვითარებაზე - ("ჩვენი შემოქმედებითი მრავალფეროვნება" - როგორც ზოგადსაკაცობრიო უფლება). კონსერვაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაზიანების პრევენცია, დიაგნოსტირება და მკურნალობა, რაც ამ პროგრამის ძირითად პარამეტრებს განსაზღვრავს.

ფართო სფერო (მიმართულება): 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები (სახვითი ხელოვნების რესტავრაციის მიმართულებისათვის) Arts and Humanities

07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა (არქიტექტურის რესტავრაციის მიმართულებისათვის) Engineering, Manufacturing and Constraction

ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა):

022 ჰუმანიტარული მეცნიერებები (ენების გარეშე) (სახვითი ხელოვნების რესტავრაციის მიმართულებისათვის) Humanities (except Languages)

073 არქიტექტურა და მშენებლობა (არქიტექტურის რესტავრაციის მიმართულებისათვის) Architecture and Construction

დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია): 0222 ისტორია და არქეოლოგია (სახვითი ხელოვნების რესტავრაციის მიმართულებისათვის) History and archaeology

0739 არქიტექტურა და მშენებლობა - არაკლასიფიცირებული (არქიტექტურის რესტავრაციის მიმართულებისათვის) Architecture and Construction, not elswhere classified

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: 0222.1.3 ხელოვნების ნიმუშთა რესტავრაციის დოქტორი, Doctor of Art Restoration (სახვითი ხელოვნების რესტავრაციის მიმართულებისათვის)

0739.1.1. არქიტექტურის რესტავრაციის დოქტორი Doctor of Architectural Restoration (არქიტექტურის რესტავრაციის მიმართულებისათვის)

განათლების საფეხური: დოქტორანტურა

პროგრამის მოცულობა: 50 კრედიტი (ECTS)

სწავლების ხანგრძლივობა: *3-5 აკადემიური წელი.*

სადოქტორო პროგრამის მიზნები:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, როგორც ზოგადსაკაცობრიო უფლება და მოვალეობა, საჭიროებს ამ სფეროში აქტივობის, მენეჯმენტისა და განათლების მაღალ ხარისხს, ასევე, მის დემოკრატიულ კონტროლს და საზოგადოებისათვის გამჭვირვალე აქტივობას. სადოქტორო პროგრამის მიზანია, აღზარდოს ისეთი მეცნიერი და, ამავე დროს, პრაქტიკოსი კონსერვატორი, რომელიც შეძლებს უხელმძღვანელოს როგორც მცირე, ისე დიდი მასშტაბის და მნიშვნელობის საკონსერვაციო პროექტებს. შესაბამისად, პროგრამის მიზანია:

- კონსერვაციის ფილოსოფიის ძირითადი ასპექტების კვლევა;
- კულტურული მემკვიდროების დაცვისა და კონსერვაციის სფეროში არსებული უახლესი ცოდნისა და გამოცდილების პრინციპების, კონცეფციების, ფაქტების, თეორიების შესწავლა-ანალიზი;
- მოპოვებული ცოდნის საფუძველზე პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის კომპლექსური კვლევა, რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ კვლევას, ასევე,მასალისა და დაზიანებების პრაქტიკულ დიაგნოსტირებას და მიღებული მონაცემების საფუძველზე სწორი საინტერვენციო პოლიტიკის შემუშავებას;
- კონსერვაციის დარგში არსებული თანამედროვე მეთოდების შესწავლა და გამოყენება, რაზეც იქნება დაფუძნებული დოქტორანტის მიერ შესრულებული ორგინალური კვლევა;
- კულტურული მემკვიდროების დაცვისა და კონსერვაციის სფეროში ახალი ცოდნის შექმნა და გავრცელება;
- კულტურული მემკვიდროების დაცვისა და კონსერვაციის გააზრება მომიჯნავე სფეროების უახლესი გამოცდილების გათვალისწინებით; მუშაობა კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და მართვის პრინციპების მოქმედ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიმართულებით;
- მემკვიდრეობის დაცვის სფეროს მონათესავე დისციპლინებში დაგროვილი ცოდნის საკუთარი კვლევითი სამუშაოს დაგეგმვისა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისათვის გამოყენება;
- კულტურული მემკვიდრეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შეფასება, ინტერპრეტაცია და სინთეზი ყველა არსებული და კვლევისათვის საჭირო მეთოდის გამოყენებით;
- დოქტორანტის მიერ დამოუკიდებელი კვლევითი სამუშაოს დაგეგმვის და წარმართვისათვის აუცილებელი ჩვევების ჩამოყალიბება როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკულ სფეროში; დამოუკიდებელი მუშაობის უნარების გამომუშავება;კვლევის ახალი და უახლესი მეთოდების დანერგვა და მათი პრაქტიკული გამოყენება სამეცნიერო მუშაობაში.

<u>სწავლის შედეგები:</u>

<u>ცოდნა და გაცნობიერება</u>

შედეგი 1

დოქტორანტს აქვს დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც ემყარება მეცნიერების უახლეს მიღწევებსა და მონაპოვრებს;

შედეგი 2

დოქტორანტი ღრმად იცნობს კონსერვაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს საკვლევ პრობლემებს,მიდგომებსა და მეთოდებს;

შედეგი 3

დოქტორანტს აქვს ამ დარგში არსებული მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა და აცნობიერებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი დამოუკიდებლად შერჩევის მნიშვნელობას;

შედეგი 4

დოქტორანტი ფლობს დარგის ტრადიციულ და ინოვაციურ კვლევის მეთოდებს, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას;

შედეგი 5

აქვს დარგში არსებული ცოდნის გააზრების და გადაფასების უნარი, რაც საშუალებას აძლევს გააფართოოს განახლებული ცოდნის ფარგლები;

შედეგი 6

კურსდამთავრებულმა იცის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ძირითადი პროცესები, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის არსი, ბოლონიის პროცესის მახასიათებლები და მისი ძირითადი ამოცანები, საუნივერსიტეტო კურიკულუმის შემუშავების ძირითადი პრინციპები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები; ფლობს უმაღლეს სკოლაში სწავლების მეთოდების საფუძვლებს, აცნობიერებს მის მიზნებსა და შედეგებს;

შედეგი 7

დოქტორანტმა იცის და აცნობიერებს კონსერვაციის ეთიკის კოდექსში მოცემულ დებულებებს;

უნარი

შედეგი 8

აქვს ახალი იდეების გენერირების, ერთმანეთის გამომრიცხავი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის, ამ მიდგომების შეფასებისა და სინთეზის თაობაზე არგუმენტირებული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი, რაც ახალი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის საფუძველს წარმოადგენს;

შედეგი 9

აქვს არგუმენტირებული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღების უნარი, რაც, ასევე, ახალი მეთოდოლოგიური ბაზის შექმნის საფუძველს წარმოადგენს.

შედეგი 10

დოქტორანტს აქვს სხვადასხვა მეთოდით კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის უნარი;

შედეგი 11

დოქტორანტს აქვს უნარი სფეროს სამეცნიერო წრეებთან და ასევე ფართო საზოგადოებასთან მათთვის ინფორმაციის ამომწურავად გადაცემის მიზნით აწარმოოს კომუნიკაცია, მათ შორის უცხო ენაზე;

შედეგი 12

აქვს უნარი სამეცნიერო დისკუსიის წარმართვის კვლევის შედეგების, ახალი ცოდნის ფართო საზოგადოებისთვის წარდგენის მიზნით;

შედეგი 13

დოქტორანტს აქვს უნარი დაგეგმოს სასწავლო პროცესი, განახორციელოს და წარმართოს პროცესი მეცნიერების უახლესი მიღწევების გათვალისწინებით;

შედეგი 14

აქვს ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;

შედეგი 15

დოქტორანტს აქვს მომიჯნავე დარგებში მიმდინარე ინოვაციური მიღწევების შესწავლა-გაცნობიერების უნარი;

შედეგი 16

დოქტორანტი აქვს უნარი განავითაროს სასწავლო პროცესი ახალ ცოდნაზე დაფუძნებული ორიგინალური იდეების მეშვეობით, დანერგოს ისინი კვლევით საქმიანობაში;

<u>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</u>

შედეგი 17

დოქტორანტი გრძნობს პასუხისმგებლობას კულტურული მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის ჩატარებისას და, ასევე, აცნობიერებს ღირებულებების საფუძვლიანად შეცნობის მნიშვნელობას;

შედეგი 18

აცნობიერებს ტრადიციული სამეცნიერო ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას, იკვლევს თანამედროვე სამყაროში ამ სფეროში ახალი ღირებულებების ჩამოყალიბების პროცესს და გზებს. აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას ამ პროცესში და დამოუკიდებლად შეიმუშავებს მათი დამკვიდრების ორიგინალურ მეთოდებს.

<u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების პირობები:</u>

"კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ჰუმანიტარულ და სოციალურ დარგებში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც აკმაყოფილებს **დოქტორანტურის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს;**

"კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით;

"კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე;

დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელთა) დასაბუთებული შუამდგომლობა; დოქტორანტურაში ჩარიცხვის აუცილებელი პხელმძღვანელთან შეთანხმებული უნდა იყოს საკვლევი თემის მიზანშეწონილობა და რელევანტურობა;

პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება:

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე წარადგინოს საკვლევად შერჩეული თემა, ძირითადი პრობლემატიკა, ამ პრობლემების გადაჭრის სავარაუდო გზები და სავარაუდო კვლევის მეთოდები ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წინაშე გააკეთოს . მან უნდა წარმოადგინოს საკუთარი სამეცნიერო პროექტის ვრცელი ზეპირი პრეზენტაცია (საილუსტრაციო მასალითურთ, მაქსიმუმ 40 წთ.);
საბჭოს წარუდგინოს რეფერატი საკვლევ საკითხზე, არა ნაკლებ 15 გვერდისა (Sylfaen- 11/12).

პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელი პირობაა უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) **B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.**
უცხო ენის B2 (ALTE) დონეზე ცოდნის სერთიფიკატის წარდგენისაგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი და დასრულებული აქვს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.
დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველს შეუძლია წარმოადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, რომელიც გაცემული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ **(გერმანულ ენაში:** Goethe – Zertifikat B2, ვისაც აქვს ჩაბარებული: Zertifikat Deutsch für den Beruf, DAF, Sprachdiplom Kultrusminister და Konferenz, ZMP, Zentrale Oberstufenprüfung, Kleines/Grosses Deutsches Sprachdiplom, DSH; **ინგლისურ ენაში:** - CEFR B2, IELTS exam – 5, BEC exam and CELS exam – Vantage, Cambridge exam – FCE, Pritman ESOL Internationa l, TOEIC – 541, TOEFL: – 500 (paper

- based), 173 (computer - based), 61 (internet - based); **ფრანგულ ენაში** - Diplome de Langue Francaise (DL) (AF), Diplome d'Etudes en Langue Francaise DELF/B2 (CIEP). სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ბოლო სამი წლის განმავლობაში. ყველა სხვა შემთხვევაში პირი ვალდებულია ჩააბაროს აკადემიის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდა; პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა აგრეთვე 3 წლის სამუშაო გამოცდილება შესაბამის დარგში (დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ იხ. თსსა რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებაში, პუნქტი 4)

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება კულტურის კვლევების სფეროში, ასევე, თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს სამაგისტრო განათლება შესაბამისი მიმართულებით, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან/და შრომები შესაბამის სფეროსა თუ მასში შემავალ ცალკეულ დარგებში.

<u>**სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობა:**</u>

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა – *3-5 წელი.* საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება: "რესტავრაცია/კონსერვაციის დოქტორის" აკადემიური ხარისხი და ეძლევა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დიპლომი. დიპლომთან ერთად გაიცემა ევროპის კომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ შემუშავებული მოდელის შესაბამისი "დიპლომის დანართი".

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა:

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს როგორც სასწავლო, ასევე კვლევით კომპონენტს.

სასწავლო კომპონენტი

სასწავლო კომპონენტის მოცულობა ჯამში 50 ECTS-ია, საიდანაც **სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები 45 ECTS-ია, ხოლო სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები - 5 ECTS**.

1 კრედიტი შეესაბამება 25 საათს და გულისხმობს დოქტორანტის მიერ პროგრამის დაუფლებას როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები (45 ECTS):
სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს კულტურის კვლევების სფეროში დოქტორანტის ცოდნის გაღრმავებას, მისი კვლევითი უნარების განვითარებას, მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- საფაკულტეტო სასწავლო კურსები (სავალდებულო) – 15 ECTS (5+5+5)
- სემინარი სპეციალობაში (სავალდებულო) – 20 ECTS (10+10)
- ინტერდისციპლინური სემინარი (სავალდებულო, არჩევითი) – 10 ECTS
- არჩევითი კურსები - 5 ECTS

	საფაკულტეტო სასწავლო კურსები	15 ECTS
1.	ხელოვნების ნიმუშების საკონსერვაციო კვლევის თანამედროვე მეთოდები	5 ECTS
2.	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5ECTS
3.	პროფესორის ასისტირება	5 ECTS

	სემინარები	30 ECTS
1.	სემინარი სპეციალობაში 1	10 ECTS

2.	სემინარი სპეციალობაში 2	10 ECTS
3.	ინტერდისციპლინური სემინარი	10 ECTS

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები:

სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტების სწავლება მიზნად ისახავს, დოქტორანტს მისცეს შესაძლებლობა კონსერვაციისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვადასხვა მიმართულებით მისთვის საინტერესო სფეროში გაიღრმავოს ცოდნა, რაც მას დაემხარება პროფესიულ ზრდასა და განვითარებაში, აგრეთვე, საკვლევ თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში.

პროგრამაში არჩევითი ელემენტები წარმოდგენილია შემდეგი სასწავლო კურსების სახით (5 ECTS)**:**

	არჩევითი სასწავლო კურსები	**20 ECTS**
1	ზოგადი ქიმია	5 ECTS
2	მინა-კერამიკის ტექნოლოგია	5 ECTS
3	ლითონის ტექნოლოგია	5 ECTS
4	შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა	5 ECTS

კვლევითი კომპონენტი

კვლევითი კომპონენტი მოიცავს:

	კვლევითი კომპონენტი

1.	კოლოკვიუმი 1
2.	კოლოკვიუმი 2
3.	კვლევითი (საკვალიფიკაციო) ნაშრომის შესრულება და მისი დაცვა/საჯარო პრეზენტაცია

კოლოკვიუმი არ ფასდება ნიშნით, მაგრამ სავალდებულოა და დაცვაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს, კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები.

III.2.სადოქტორო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
		სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტები	**25**	**25**				
1.	არ გააჩნია	ხელოვნების ნიმუშების საკონსერვაციო კვლევის თანამედროვე მეთოდები	**5**					

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
2.	არ გააჩნია	უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა	5					
3.	არ გააჩნია	პროფესორის ასისტირება		5				
4.	არ გააჩნია	სემინარი სპეციალობაში 1	10					
5.	არ გააჩნია	სემინარი სპეციალობაში 2		10				
6.	არ გააჩნია	ინტერდისციპლინური სემინარი		10				
		სასწავლო კომპონენტის არჩევითი ელემენტები	5					
7.	არ გააჩნია	ზოგადი ქიმია	5					
8.	არ გააჩნია	მინა-კერამიკის ტექნოლოგია	5					

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
9.	არ გააჩნია	ლითონის ტექნოლოგია	5					
10.	არ გააჩნია	შემოქმედების ფილოსოფია და ჰუმანიტარული ცოდნა	5					

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
		კვლევითი კომპონენტი						

№	დაშვების წინაპირობა	საგანი	ECTS კრედიტი					
			I წელი		II წელი		III წელი	
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
1		კოლოქვიუმი-1			!			
2		კოლოქვიუმი-2				!		
3		დისერტაციის დასრულება და დაცვა						!
სემესტრში სულ 50 ECTS			25	25				